# ინფოგრაფიკის გამოყენება სასწავლო პროცესში

**მარი ნარჩემაშვილი**

**შპს სკოლა „ღონე ქვეყნისა“**

*სწავლა-სწავლების პროცესში ინფოგრაფიკის შექმნა/გამოყენება ამაღლებს მოსწავლეების მოტივაციას და ზრდის მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. პოსტერისა და ინფოგრაფიკის შექმნა მოსწავლებში ავითარებს პრობლემის გადაჭრის, წიგნიერების, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, შემოქმედებით უნარებს. რაც თავის მხრივ გადამწყვეტ მნიშვნელობას ასრულებს საგნობრივი თუ ზოგადი ცოდნის სიღრმისეულად დაუფლებისა და გლობალური საკვანძო კომპეტენციების გამომუშავების მხრივ.*

სწავლა-სწავლების ეფექტიანად და ხარისხიანად წარმართვისათვის აუცილებელია პროცესი ორმხრივი იყოს, მასში თანაბრად უნდა იყოს ჩართული როგორც მოსწავლე, ასევე მასწავლებელი. იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამგვარ სრულფასოვან სასწავლო პროცესს, საჭიროა მუდმივი ძალისხმევა პედაგოგის მხრიდან, რათა მოსწავლეებში გაზარდოს მოტივაცია, ინტერესი და ჩართულობა. ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. მოტივირებული მოსწავლეები, სასწავლო პროცესში მაღალი ხარისხით არიან ჩართულები. მოსწავლეთა დაინტერესება და შესასწავლ მასალასთან დაკავშირებული ემოცია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია განათლებაში. რაც უფრო დიდია ინტერესი, მით უფრო პოზიტიურია ემოციური რეაქციები, უფრო ღრმაა ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, უკეთ ხდება დამახსოვრება, მაღალია შედეგის მიღწევის მაჩვენებელი. მოსწავლეთა მოტივირება ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია პედაგოგიკაში. მოსწავლეები კოგნიტურად, ემოციურად თუ ქცევით ჩართულნი უნდა იყვნენ პროდუქტიულ აქტივობებში. მოტივაციის ამაღლების საკითხში როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლისთვისაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება და მისი მრავალფეროვნება. რამეთუ ერთფეროვანი რესურების გამოყენების შედეგად სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის მოსაწყენი, უინტერესო და „რუტინული“ შესაძლოა გახდეს. ესგ-ში არის ასეთი ჩანაწერი: „საგანთა სწავლებისას რეკომენდებულია როგორც ბეჭდური, ისე მულტიმედიური და მრავალგვარი ფორმის ელექტრონული ტექსტების გამოყენება. მათი დამუშავება, გააზრება-გამოყენება და შექმნა მოსწავლეებს განუვითარებს ციფრული წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების უნარებს. საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების ხანაში ციფრული და მედიაწიგნიერება ზოგადი წიგნიერების აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენს“.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების, ახალი მეთოდების გამოყენება და იმგვარი რესურსების შექმნა, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს მოტივაციის გაზრდაში, სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისებაში. ამასთანავე მოსწავლეს მისცემს საშუალებას, პროცედურული ცოდნა გადააქციოს პირობისეულად. მნიშვნელოვანია რესურსი თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, რაც იმას ნიშნავს რომ XXI საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს და პარალელურად სასურველია მოსწავლეები რესურსის არა მხოლოდ მოხმარებაში, არამედ შექმნაში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები, რათა პროცესი უფრო აქტიური, საინტერესო და შემეცნებითი იყოს მათთვის.

აღნიშნულის პასუხს წარმოადგენს სასწავლო პროცესში ინფოგრაფიკების გამოყენება, როდესაც მოსწავლეებს თავად შეუძლიათ განვლილი თემის ან კონკრეტული საკითხის შესახებ მოამზადონ ინფოგრაფიკა. ინფოგრაფიკა არის ინფორმაციის, მონაცემების ან ცოდნის გრაფიკულ-ვიზუალური წარმოდგენა, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის სწრაფად და ნათლად წარმოჩენას. იგი შეიცავს როგორც ტექსტურ, ასევე გრაფიკულ გამოსახულებას. რისი საშუალებითაც ძლიერდება ადამიანის ვიზუალური სისტემის უნარი დაინახოს მნიშვნელოვანი საკითხები და დეტალები კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით.

აღნიშნული რესურსის გამოყენება პედაგოგს დაეხმარება სასწავლო პროცესში შეძლოს ესგ-ის დამუშავება - რამეთუ მოსწავლეებს ინფოგრაფიკის მომზადება შეუძლათ ესგ-ით გათვალისწინებული გარკვეული საკითხის დამუშავების შემდეგ; რესურსის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ განსახილველი მასალის ანალიზს, სინთეზს, ინფორმაციის დახარისხებას და მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების ამორჩევას; საშუალებას აძლევს მათ გამოავლინონ თავიანთი ახალი უნარები და ნაშრომი წარმოადგინონ შემოქმედებითად; გამოიმუშაონ პრეზენტაციის უნარი. მოსწავლე აქტიურად ერთვება სამუშაო პროცესში, თავად ქმნის სასწავლო რესურსს და შედეგად იზრდება მათი მოტივაცია, ინტერესი სასწავლო პროცესისა და განსახილველი საკითხისადმი.

აღნიშნულ სასწავლო რესურსზე მუშაობით მოსწავლეებში მუშავდება შემდეგი გამჭოლი და გლობალური საკვანძო კომპეტენციები:

1. პრობლემის გადაჭრა - ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა;
2. შემოქმედებითი აზროვნება;
3. თანამშრომლობა და კომუნიკაცია;
4. ინიციატივების გამოვლენა;
5. სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა;
6. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
7. წიგნიერება.

შედეგად შეიძლება ითქვას რომ ინფოგრაფიკის შექმნის აქტივობის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობის ამაღლებას, მოტივაციის და ინტერესის გაზრდას, ესგ-ით გათვალისწინებული ან დამატებითი მასალის შემეცნებას, გამჭოლი და გლობალური უნარების გამომუშავებას.

**გთავაზობთ, მოსწავლეების მიერ შექმნილ ინფოგრაფიკებს შესაბამის თემებზე. მოსწავლეებს ინფოგრაფიკის შექმნისას აქვთ დიზაინის სრული თავისუფლება და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას რა ტექსტი უნდა დაიტანონ და რა ტიპის ვიზუალური მასალა.**

**გამოყენებული ლიტერატურა**:


1. ეროვნული სასწავლო გეგმა
2. ვულფოლკი ა. „განათლების ფსიქოლოგია“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009.
3. https://mastsavlebeli.ge/?p=36036
4. https://atutor.ca/the-benefits-of-using-posters-in-a-classroom/